

მანანა ბუკია

კომპოზიტა ერთი რიგისათვის ქართველურ და აფხაზურ ენებში

ენობრივი კონტაქტები არა მარტო ლექსიკური ერთეულების „გაცვლას“ განაპირობებს, არამედ ხელს უწყობს ახალი ერთეულების შექმნის პროცესს.

მხედველობაში გვაქვს ე. წ. ჰიბრიდული (ორენოვანი) კომპოზიტები, რომლების ფონეტიკური ადაპტაციის შემდეგ ახალ სიტყვათა რიგს აყალიბებს ენებში.

სტატიაში წარმოდგენილი ქართველურ-აფხაზური ენობრივი კონტაქტების შეთეგად წარმოქმნილი ორენოვანი კომპოზიტები.

ჰიბრიდულ კომპოზიტთა წარმოქმნას სხვადასხვა მიზეზი უწყობს ხელს.

ხშირ შემთხვევაში კომპოზიტის წარმოქმნის მიზეზი ხდება სქესის მარკირების საჭიროება, მაგ: ჰიბრიდული. კომპოზიტებია აფხაზურში დამკვიდრებული სიტყვები: **ანაძქე** „ძიძა, დედამძუძე“ (ჯანაშია, 1954, 49), რომელიც ორი ინგრედიენტისაგან შედგება. პირველი აფხაზური ან „დედაა“, მეორე კი ქართველურიდან შეთვისებული **ძიძა** > **(ა)ძქე**; **აბაძქე** „ძიძის ქმარი, გამზრდელი“ (იქვე, 10), **აბ** (აფხაზ.) „მამა“. მეგრულში ლექსიკურ ოპოზიციას ქმნის წყვილი **ძიძე** „გამზრდელი, ძიძა“ და **მორდუ** „ძიძის ქმარი“, ზედმიწ. „გამზრდელი“.

ქართველურიდან შეთვისებულ ფორმებში ფონოტაქტიკის წესების შესაბამისად აუსლაუტში მოხდა დიფთონგიზაცია. ასეთი სიტყვები (აუსლაუტში დიფთონგიზებული) აფხაზურ ნასესხებ ლექსიკაში მრავლად გვხვდება, მაგ. ქართ. **კალა** > აფხ. **ა-კალე**; მეგრ. **ბაჟა** > აფხ. **ა-ბჟე** „მმარი“, მეგრ. **თარჩია** > აფხაზ. **ა-თარჩე** „დოლი, მარულა“...

ამავე რიგისაა (სქესის მარკირების გამო წარმოქმნილი) **ა-ჟბატ** „ფურზაქი“ (არშბა, 1980, 23), **ა-ჟკამბაშ** „ფურკამერი“ (იქვე, 24), სადაც პირველი ნაწილი **ა-ჟ** აფხაზურად „ძროხის, ფურის“ აღმნიშვნელია, მეორე, კი პირველ შემთხვევაში მეგრული „ზაქია“, მეორე კი მეგრულად ადაპტირებული „კამერი“ (კამერი > **კამბერი** > **კამბეში** > **ა-კამბაშ**).

აქვე განიხილება აფხაზური ჰიბრიდული კომპოზიტები **ა-ცბატ** „ხარზაქი“ (იქვე, 79), **ა-ცკამბაშ** „ხარკამერი“ (იქვე, 79);

ა-ც „ხარია“ აფხაზურად.

რამდენიმე შემთხვევაში აფხაზური ენა ჰიბრიდულ კომპოზიტს იყენებს ძაღლის სახეობის აღსანიშნავად. კომპოზიტში **ა-მაწარლა** „სანადირო ძაღლი, მწევარი“ (არშბა, 1980, 41) პირველი ინგრედიენტი **ა-მაწარ** ქართულიდან შეთვისებული მწვერის „გააფხაზურებული“ ფორმა, (**ა**)**ლა** კი აფხაზური „ძაღლი“ (ჯანაშია, 1954, 162), ქართულიდან ნასესხები სიტყვა მარტივი ფორმითაც გვხვდება აფხაზურში: **ა-მაწარ** „მწევარი“ (ჯანაშია, 1954, 188), აფხაზური ფორმა საინტერესოა იმით, რომ შემოგვინახა ოდინდელი ფორმა, რომელიც ქართულში უნდა გვექნოდა, აფხაზურს უნდა შეეთვისებინა ქართული ***მაწევარი** (გვანცელაძე, 1988, 77). საინტერესოა, რომ აბაზურმაც შემოინახა ორენოვანი კომპოზიტი **ლამწაურ** სახით, რომელიც „უპატრონო, მოხეტიალე ძაღლს“ ნიშნავს. ჰიბრიდული კომპოზიტია „ნაგაზის“ აღმნიშვნელი აფხაზური **ა-ლამურა** (ბლაჟბა, 1964, 87), სადაც **ა-ლა** „ძაღლია“ (იხ. ზემოთ), მეორე ნაწილი კი ქართულია.

ერთ-ერთ ჯგუფში (კვების პროდუქტების აღმნიშვნელი ლექსიკა) კომპოზიტთა ერთი ნაწილი შემადგენელი მეგრულიდან (resp. ქართველურიდან) შეთვისებული სიტყვებია, მეორე ინგრედიენტად წარმოდგენილია: აფხაზური (**ა**)**ჩაფა**, რომლის ამოსავალია **ა-ჩაფარა** „საჭმლის შეკმაზვა“, **ა-კალიაჩაფა** „ეკალას ფხალი“ (კოპეშვიძე, 1980, 133), **ა-ხ გლჩაფა** „კეჟერა ფხალი“ (იქვე), **ა-კამაჩაფა** „კამის ფხალი“ (იქვე). შესაბამისად, აფხაზური ტერმინების ზედმიწევნითი მნიშვნელობაა „შეკმაზული ეკალა“, „შეკმაზული კეჟერა“, „შეკმაზული კამა“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კერძის საერთო სახელი აღნიშნულია აფხაზური ტერმინით, სახეობებს კი მეგრული (resp. ქართველური) ინგრედიენტი აღნიშნავს (ეს ტერმინები დაციქსირებულია აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში).

უნდა აღინიშნოს, რომ ჰიბრიდულ კომპოზიტთა ყველაზე დიდი რაოდენობა სწორედ ამ დარგობრივ ლექსიკაში (კვების პროდუქტების აღმნიშვნელ სიტყვებში) გვხვდება.

ჰიბრიდულ კომპოზიტთა სოლიდური რაოდენობა გვხვდება რძის პროდუქტების აღმნიშვნელ აფხაზურ ლექსიკაში „**ა-შრთათა** „ჭყინტი ყველი“ (ჯანაშია, 1954, 342), ზედმ. „თოთო ყველი“ (შდრ. სვან. **თოთ თაშ** „ჭყინტი ყველი“, **ა-შჭჭა** || - **შხჭჭა** „დაფშენილი ყველი“ (შდრ. ჭაჭუტა ყველი), **ა-შ** „ყველი“ აფხაზურად, **ა-ხარწესგძხალ** „მაწვნის შეჭამადი“ (კოპე-

შავიძე, 1980, 135), სადაც პირველი კომპონენტი „მაწვნის“ აღმნიშვნელი აფხაზური **ა-ხარწ**-ა, მეორე (ა)სგმზალ კი მეგრული **საძბელი** || **საწბელი** (< ქართ. **საწებელი**).

ჰიბრიდული კომპოზიტია აფხაზური **ა-ყ'გდხარკალე** „კირკაჟი“; **ა-ყ'გდ** აფხაზურად „ლობიოს“ ნიშნავს, **ხარკალე** კი მეგრული **ხარკალია**-ს აფხაზურად ადაპტირებული ფორმაა და „კირკაჟს“ ნიშნავს. სხვათაშორის, მეგრულში „კირკაჟი“ სინ. ტაგმით აღინიშნება: **ხარკალია ლეზია**.

ასევე ჰიბრიდულ კომპოზიტად განვიხილავთ ფორმებს: **ა-ჩე-ჯკვა** „პურ-მარილი“ (ჯანაშია, 1954, 345) **ა-ჩა** „პურია“, (ა)ჯკვა კი უნდა მომდინარეობდეს მეგრულში არსებული შესიტყვების **ჯიმუ კაკილი**-საგან > ***ჯიმ-კაკილი** > ***ჯიმკა** > ***ჯიკა** (ლომთათიძე, 1999, 27). იმავე ინგრედიენტს შეიცავს კომპოზიტი **ა-ჯკვაძერძ** „მარილწყალი, წათხი“ (იქვე. 450)

ათეულზე მეტი კომპოზიტი შეიქმნა ქართველურიდან, ან ქართველურის გზით აღმოსავლურენოვანი სამყაროდან შეთვისებულ ლექსიკასთან აფხაზური **ა-ჩე** „ცხენის“ შერწყმით: **ა-ყარჩე** „ყვეარი ცხენი“, **ა-ჩეურა** „ურა ცხენი“, **ა-ჩეურჩან** „ოჩანი ცხენი“, **ა-ჩეზადი** „ლოხი ცხენი“, **ა-ჩალანდარჩე** „ბარგის ცხენი“, **ა-ჩეზარდაგ** „ჩალისფერი ცხენი“ (ბუკია, 2006). უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველურიდან ნასესხები ფორმები ხშირად მარტივი სახითაც გვხვდება აფხაზურში: **ა-ურა** (ჯანაშია, 269), **ა-ურჩან** (იქვე, 265), **ა-ნადი** (იქვე, 202), **ა-ზარდაგ** – იქვე, 108)...

აფხაზურში შერეულ, ორენოვან კომპოზიტთა რაოდენობა ერთობ შთამბეჭდავია.

ქართველურში ასეთი რიგის კომპოზიტთა რიცხვი ნაკლებია.

მეგრულში დამკვიდრებულია ჰიბრიდული კომპოზიტი **ხი-ჯებჟა** „ხსენი“ (მიქიაშვილი, 1936, XI), სადაც **ხიჯე** < **ხიჯაჯა** < **ხიჯაჯა** < **ხაჯაჯა** < **ახჯაჯა** < აფხაზ. **ა-ხჯაჯა** „ხსენი“ (მეგრულში დაცულია ყველა ფონეტიკური ვარიანტი), **ბჟა** „რძე“

ჰიბრიდული ტოპონიმები მრავლად გვხვდება სამეგრელოსამურზაყანოს ტერიტორიაზე, ანუ აფხაზთა და მეგრელთა ეთნიკურ-ტერიტორიულ საზღვარზე.

ჰიბრიდული კომპოზიტი გვაქვს ტოპონიმში **ჯოდორმაგა** „სამოვარი აკიბოს მთაზე“ (სახოკია, 1985, 394), შედგება მეგრული **ჯოდორ**-ი („ძალი“) და აფხაზური (ა)მაგა-საგან („მლაშობი“; **თენგიზთიფი** „ადგილი სამურზაყანოს მთიანეთში“ (იქვე,

39), თიფი „აფხაზურად „ადგილს, სამსახურს“ ნიშნავს“ (ჯანა- შია, 1954, 130), ტერმინი (თიფი) წარმოდგენილია აბაზურ ენა- ში და ნიშნავს „ქოხს, რამის ადგილს“ (კვარჭია, 1981, 113); დიდაზმახი – გუბე ოფუჯესა და ოჭაკეში (სამურზაყანოს მთა), ჭუბურაძმახი ზედმ, „წაბლის გუბე“ – გუბე ბულონასუკსა და ოისირეს შუა“ (ცხადაია, 1999, 230). ა-ძმახ აფხაზურად „ჭაობს, ჭანჭყობს“ ნიშნავს.

საგულისხმოა, რომ აფხაზურშემადგენლიანი ტოპონიმები ჰიდრონიმები) გეხედება აღმოსავლეთისკენ, ზემო სამეგრელო- ში, მარტვილის რეგიონში: ეკუხონაშ აზმახი ზედმ. „აღმართის ტბორი“ (ცხადაია, 1999-ა, 206), ტოტოიაშ აძმახ (იქვე, 243), შვა- მახიაშ აძმახ (იქვე, 250), წიფერაშ აზმახ (იქვე, 255), ჯვარიშ აძმახ (იქვე, 262), სორადილი აძმახი ზედმ. „დამპალი გუბე“ (იქ- ვე, 204). მსაზღვრელად ხან პირსახელია გამოყენებული (ტო- ტოია, შვამახია), ხან არსებითი სახელი (ჯვარი). ხანაც მიმლე- ობა (სორადილი). ამ რეგიონში ჰიბრიდული კომპოზიტების არ- სებობა გვავარაუდებინებს, რომ ეს ტერმინები მომთაბარე მწყემსების მიერაა გავრცელებული.

ლიტერატურა:

არშბა 1980 – Н. В. Аршба, Словарь животноводческих терминов. Абхазско-русский, русско-абхазский. Сухуми
ბუკია, 2006 – მ. ბუკია, ცხენოსნობისა და მეცხენეო- ბის ლექსიკა ზანურში, თბილისი, 2006.

ბლაჟბა, 1964 – Русско-абхазский словарь, гл. ред. Х. С. Бгажба, Сухуми

გვანცელაძე 1988 – თ. გვანცელაძე, ბატკან- და მწევარ- ფუძეთა ისტორიისათვის, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი

კვარჭია 1985 – В. Е. Кварчия. Животноводческая лексика в абхазском языке, Сухуми

კოპეშავიძე 1980 – Г. Г. Копешавидзе, Традиционная пища абхазов, проживающих в Аджарии, სამხრეთ-დასავლეთ საქართვე- ლოს ყოფა და კულტურა, VIII, თბილისი

ლომთათიძე 1999 – ქ. ლომთათიძე, აფხაზურსა და ქართველურ ენებში არსებული ზოგი საერთო ფუძის ნასესხო- ბის მიმართულებისათვის, ჩიქობავას საკითხავები – X. თბილისი.

მიქიაშვილი, 1986 – ო. მიქიაშვილი, დაკვირვებანი მეგ-

რულის დარგობრივ ლექსიკაზე, VIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, თბილისი.

სახოკია, 1985 – თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი.

ცხადაია, 1999 – 1 ცხადაია, ტოპონიმიკური ინტერფერენციის საკითხისათვის აფხაზთა და მეგრელთა ეთნიკურ-ტერიტორიულ საზღვრებზე. ქართველური შემკვიდრეობა, III ქუთაისი.

ცხადაია, 1999-ა – 1. ცხადაია, ზემო სამეგრელოს ჰიდრონიმია, საქართველოს ტოპონიმია (მასალები), ტ. II, თბილისი.

ს. ჯანაშია, 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი. თბილისი.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის
შრომების კრებული 2008'1
თბილისი 2008